

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №

2022 წლის ---- ნოემბერი, ქ. ბათუმი

ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის
სამმართველოსათვის" თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ განახორციელოს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების მიზეზია საკრებულოს მიერ ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-სათვის თანხმობის მიცემა, ვინაიდან განკარგულების დანართის თანახმად გამოსაცხადებელი ტენდერის საერთო ღირებულება შეადგენს 78 589 607 ლარს, იგი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს და გამომდინარე აქედან ითვალისწინებს საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემას.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საერთო ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს, პროექტის ძირითადი არსი ითვალისწინებს საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემას „ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-სათვის, გამოაცხადოს ტენდერი განკარგულების დანართში აღნიშნულ საერთო ღირებულებაზე.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

განკარგულების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

განკარგულების პროექტის ავტორია ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“.

ვ) პროექტის ინიციატორი:

განკარგულების პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და
კეთილმოწყობის სამმართველო“-ს დირექტორი

აკაკი ბერიძე

ინფორმაცია

კოდი	დასახელება	მთლიანი ღირებულება	2022 წ.	2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.	განმარტება
02 04 04	საცხოვრებელი სახლების მშენებლობა	78,589,607	8,947,929	12,717,870	27,276,407	21,373,101	8,274,301	განმახორციელებელი: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
02 04 04	ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია - კახაბრის ქ.№30-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და ახალი სახლის მშენებლობა	15,926,420	2,500,000	2,700,000	6,744,815	3,981,605	-	მრავალწლიანი შესყიდვა (2022-2025წწ) პროექტების საერთო ღირებულება 15 926 420 ლარს,
02 04 04	ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია - ს.ხიმშიაშვილის ქ.№94-96-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და ახალი სახლის მშენებლობა	21,550,123	3,000,000	2,800,000	10,362,592	5,387,531	-	მრავალწლიანი შესყიდვა (2022-2025წწ) პროექტების საერთო ღირებულება 21 550 123 ლარს,
02 04 04	ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია - 26 მაისის 13-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობა	8,015,860	1,266,775	2,217,870	2,527,251	2,003,965	-	მრავალწლიანი შესყიდვა (2022-2025წწ) პროექტების საერთო ღირებულება 8 015 860 ლარს,
	ჯამი - ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია	45,492,403	6,766,775	7,717,870	19,634,658	11,373,101	-	
02 04 04	ქ. ბათუმში, ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ სოციალური სახლის მშენებლობა	33,097,204	2,181,154	5,000,000	7,641,749	10,000,000	8,274,301	მრავალწლიანი შესყიდვა (2022-2026წწ) პროექტების საერთო ღირებულება 33 097 204 ლარს,
	სულ ჯამი	78,589,607	8,947,929	12,717,870	27,276,407	21,373,101	8,274,301	